

JEL: 0530

<https://doi.org/10.46361/2449-2604.9.3.2022.38-55>

Eka Lekashvili¹, Giorgi Kraveishvili²,

*^{1, 2}Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Georgia*

TURKIYE 'S INDUSTRIAL POLICY IN THE CONTEXT OF EU INTEGRATION: A SUCCESSFUL EXPERIENCE FOR GEORGIA

Research goal: *Within the framework of the grant competition of the Faculty of Economics and Business at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, was developed the research project "Formation of industrial policy coordinated with the requirements of EU integration and the possibilities of its implementation in Georgia". The application was developed by the representatives of the Department of Economic Policy. The actuality of the research problem is determined by the goals of implementation of the requirements of Georgia's Association Agreement with the European Union. The purpose of the mentioned grant project is to analyze the possibilities of the formation of the coordinated industrial policy with the requirements of the European Union and its implementation in Georgia. To achieve this goal, it is important to analyze the successful and unsuccessful experiences of industrial policy development, coordination and implementation of EU member, candidate and potential candidate countries.*

The purpose of this scientific paper is to analyze the experience of development, coordination and implementation the industrial policy of Turkiye, as an associate member of the European Union in order to offer recommendations for the development of the industrial policy of Georgia.

Methodology/approach. *The research is based on using the analysis, synthesis, induction, deduction, chronological and comparison, case study methods, as well as expert assessments, theoretical and applied studies of international organizations and scientific-economists.*

Founding. *The paper discusses the strategic directions and reforms of the industrial policy of Turkiye, as an associated country of the European Union, that contributed to the country's economic strengthening, development and entry into the European Union market. The experience of Turkiye 's industrial policy clearly shows that without the stimulating policy of national strategic industries, the country would not be able to participate in the competitive struggle in the EU market. By implementing industry-supporting measures from the state, appropriate environmental conditions were created for the strengthening of domestic industry, which reflected the development of Turkiye, as a country.*

Originality/scientific innovation. *The scientific novelty of the paper is analyzed and processed valid information and scientific conclusions about the evolution of modern Turkish industrial policy, that is provided to the Georgian scientific community, policy makers and interested parties*

in a systematized format with scientific objectivity and impartiality.

Practical value/consequences. Studying the successful experience of Turkiye, as the neighbor, the main trade-economic and strategic partner of Georgia, recommendations formed for creation and implementation of industrial policy, that will support the process of integrating Georgia into the European Union, taking into account not only the sovereign, but also the regional context.

Key words: Georgia, Turkiye, industrial policy.

ეკა ლეკაშვილი¹, გიორგი კრავეიშვილი²

^{1,2}ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო

თურქეთის სამრეწველო პოლიტიკა ევროკავშირთან ინტეგრაციის კონტექტით: წარმატებული გამოცდილება საქართველოსთვის

მიზანი. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე საფაკულტეტო საგრანტო კონკურსის ფარგლებში მუშავდება კვლევითი პროექტი „ევროკავშირში ინტეგრაციის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირება და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში“.

საკვლევი პრობლემის აქტუალურობა განპირობებულია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების იმპლემენტაციის მიზნებიდან გამომდინარე. აღნიშნული საგრანტო პროექტის მიზანია გაანალიზოს ევროკავშირის მოთხოვნებთან კოორდინირებული სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისა და მისი გატარების შესაძლებლობები საქართველოში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სხვა ამოცანებთან ერთად, დასახულია ისეთი ამოცანის გადაწყვეტა, როგორცაა ევროკავშირის წევრი, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის წარმატებული და წარუმატებელი გამოცდილების გაანალიზება.

კვლევის მიზანია, თურქეთის, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის გამოცდილების გაანალიზება საქართველოს სამრეწველო პოლიტიკისათვის რეკომენდაციების შეთავაზების მიზნით.

მეთოდოლოგია/მიდგომა. კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, ქრონოლოგიური და შედარების მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები. ასევე, კონკრეტული შემთხვევის/მაგალითის მეთოდი.

შედეგები. ნაშრომში განხილულია თურქეთის, როგორც ევროკავშირის ასოცირებული ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები და რეფორმ-

ები, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებას, განვითარებას და ევროკავშირის ბაზარზე შეღწევას შეუწყო ხელი. თურქეთის სამრეწველო პოლიტიკის გამოცდილება მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ არა ეროვნული სტრატეგიული დარგების მასტიმულირებელი პოლიტიკა სახელმწიფოს აქტიური როლის პირობებში, ქვეყანა ვერ შეძლებდა ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში ჩართვას. სახელმწიფოს მხრიდან მრეწველობის მხარდაჭერი ღონისძიებების გატარებით შეიქმნა შესაბამისი გარემო-პირობები სამამულო მრეწველობის გაძლიერებისთვის, რამაც ასახვა ჰპოვა თურქეთის, როგორც ქვეყნის განვითარებაზე.

ორიგინალობა/სამეცნიერო სიახლე. სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, პოლიტიკის მესვეურებს და დაინტერესებულ პირებს სისტემატიზირებულ ფორმატში მიეწოდებათ მეცნიერული ობიექტურობით და მიუკერძოებლობით დამუშავებული და გაანალიზებული ვალიდური ინფორმაცია და სამეცნიერო დასკვნები თანამედროვე თურქეთის სამრეწველო პოლიტიკის ევოლუციის შესახებ.

პრაქტიკული ღირებულება/შედეგები. თურქეთის, როგორც საქართველოს მეზობელი, ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური და სტრატეგიული პარტნიორის, სამრეწველო პოლიტიკის წარმატებული გამოცდილების შესწავლა და კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციების იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების პროცესს არა მარტო სუვერენული, არამედ რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, თურქეთი, სამრეწველო პოლიტიკა.

შესავალი და ლიტერატურის მიმოხილვა. საქართველოს რეალობაში თურქეთის სამრეწველო პოლიტიკის განვითარების თავისებურებების კვლევა თავისი მნიშვნელობით აქტუალურია, რამდენადაც იგი ჩვენი ქვეყნის უმთავრეს სავაჭრო-ეკონომიკურ და რეგიონულ პარტნიორს წარმოადგენს. ამასთან, თურქეთი ევროკავშირის ასოცირებული წევრია და, შესაბამისად, მისი ინტეგრირების გამოცდილება ევროკავშირის ერთიან ბაზართან ეკონომიკის ტრანსფორმაციის კონტექსტით ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს. მრეწველობის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ თურქეთის მშპ-ში სამრეწველო დამატებული ღირებულების წილი 2011 წლიდან დღემდე 16,5-17,00 % ის ფარგლებში მერყეობს, მაშინ როცა საქართველოსთვის ანალოგიური მაჩვენებელი 9-10 %-ია. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სამრეწველო დამატებული ღირებულება 2021 წელს ისტორიულ მაქსიმუმზეა და 2015 წლის მუდმივი ფასების მიხედვით 2241 აშშ \$-ს შეადგენს. 2000 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 985 აშშ \$ იყო. საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სამრეწველო დამატებული ღირებულება 2000 წლისთვის 117 აშშ \$-ს ხოლო 2021 წელს 424 აშშ \$-ს შეადგენდა. [5]. მიმდინარე ეტაპზე მრეწველობის განვითარების მიმართულებით თურქეთი საქართველოსთან შედარებით მოწინავე პოზიციებზეა, მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის

80-იან წლებში მდგომარეობა საპირისპირო იყო. საქართველომ დამოუკიდებლობის პირობებში მრეწველობის განვითარების დონის შენარჩუნება უკვე ვერ შეძლო რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. შესაბამისად, თურქეთის წარმატებული გამოცდილება გვიბიძგებს დავინტერესდეთ მისი სამრეწველო პოლიტიკის თანმიმდევრულობით და ევოლუციური ხაზით, რამაც ქვეყნის წარმატებული განვითარება განაპირობა.

კვლევის მიზანია, თურქეთის, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის გამოცდილების გაანალიზება საქართველოს სამრეწველო პოლიტიკისათვის რეკომენდაციების შეთავაზების მიზნით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად და თურქეთის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შესაფასებლად ნაშრომში განხილულია მეცნიერთა-მკვლევართა სტატიები [1;9;10;-11;12;13;19], თურქეთის რესპუბლიკის მიერ დამტკიცებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები [14;15;16;17]. ასევე კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, ქრონოლოგიური და შედარების მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა [2;3;4;5;6;7;8] და მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები ასევე, კონკრეტული შემთხვევის/მაგალითის მეთოდი.

კვლევის პროცესში შევისწავლეთ იზაკ ატიასის (İzak Atiyas) და ოზან ბაკის (Ozan Bakis) სტატია „სტრუქტურული ცვლილება და ინდუსტრიული პოლიტიკა თურქეთში“, [9], სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი თურქეთის ინდუსტრიული პოლიტიკის ევოლუცია, განსაკუთრებული ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ინდუსტრიალიზაციის თითოეულ ეტაპზე გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები და განხორციელებული რეფორმები.

სტატიაში „სამრეწველო პოლიტიკის პოლიტიკური ეკონომიკა თურქეთში: საავტომობილო ინდუსტრიის შემთხვევა“ [10] შესწავლილია და გაანალიზებულია თურქეთის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკაში ავტომობილების ინდუსტრიის განსაკუთრებული ადგილი. აღნიშნულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია თურქეთის ავტომობილების ინდუსტრიაზე, რომელმაც ლოკომოტივის ფუნქცია შეასრულა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში და შეუწყო ხელი არაერთი სხვა დარგის განვითარებას.

თურქეთის ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია განხილული არის დენის გუვერცინის (Deniz Güvercin) ნაშრომში „თურქეთის ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის საზღვრები“, [11]. სტატიაში წარმოდგენილი არის თურქეთის ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის ფარგლებში გატარებული ღონისძიებები და მისი შედეგები.

1980 წლების შემდგომი თურქეთის ინდუსტრიალიზაციის ტრანსფორმაცია შესწავლილია მეტინ ოზასლანის (Metin Özaslan) საკონფერენციო ნაშრომის „სივრცითი განვითარების ტენდენციები და ახალი ინდუსტრიული ოლქები თურქეთში 1980 წლის შემდგომ“ საფუძველზე [12]. ხოლო თურქეთის, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ ანალიზი მოცემულია საკონფერენციო ნაშრომში „თურქეთის, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა და კლიმატის ცვლილების მართვა“, 2013 [13].

კვლევის პროცესში ვისარგებლეთ თურქეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ შემუშავებული 2011-2014 წწ-ის თურქეთის ინდუსტრიალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტით [14], ასევე, განვიხილეთ თურქეთის 2015-2018 წწ-ის მეწარმეობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის [15] საფუძველზე მოვახდინეთ თურქეთის მრეწველობის პრიორიტეტული მიმართულებების მიმართ გატარებული ღონისძიებების შესწავლა.

სტატიის მიზანი. კვლევის მიზანია თურქეთის, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, კოორდინირებისა და იმპლემენტაციის გამოცდილების გაანალიზება საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებისთვის რეკომენდაციების შეთავაზების თვალსაზრისით.

შედეგები და დისკუსია. თურქეთის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ევოლუცია რამდენიმე ეტაპს მოიცავს. ინდუსტრიალიზაციის მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯები სათავეს 1930 წლიდან იღებს, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1960 წლამდე ინდუსტრიალიზაციის კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ განხორციელებულა. 1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ თურქეთი შევიდა ე.წ. „გეგმიურ ეპოქაში“ და ინვესტიციების ხელშეწყობა პრიორიტეტი გახდა. დასაწყისში მასტიმულირებელი ღონისძიებები ინიცირებულ იქნა მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროების მიერ. 1967 წელს პრემიერ-მინისტრის კონტროლქვეშ ჩამოყალიბდა „ინვესტიციებისა და ექსპორტის განვითარების და წახალისების ბიურო“, ხოლო 1970 წელს სახელმწიფო დაგეგმვის ბიურო მრეწველობისა და ტექნოლოგიების სამინისტროდ გარდაიქმნა დაპასუხისმგებელი გახდა აღნიშნულ მიმართულებაზე.

აღნიშნული პერიოდი, 1960 წლიდან 1980 წლამდე, ძირითადად ხასიათდებოდა იმპორტის დაცვის მაღალი ბარიერებით, რაც ადგილობრივი მწარმოებლებისთვის განვითარების შესაძლებლობა უნდა გამხდარიყო. შიდა ფასები მკაცრად კონტროლდებოდა. თითქმის ყველა კრიტიკულად მნიშვნელოვან ინდუსტრიაში სახელმწიფო საწარმოებს დომინანტური პოზიციები ეკავათ. დროის მოცემული მონაკვეთი მოიხსენიება როგორც იმპორტჩამნაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის პერიოდი, რადგან პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი იმპორტირებული პროდუქციის ადგილობრივი წარმოებით ჩანა-

ცვლება იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით მრავალი ღონისძიება გატარდა, რომელთაც თავისი დადებითი შედეგები ჰქონდათ, აღნიშნული ეტაპი ქვეყნისთვის კრიზისით და მორიგი სამხედრო გადატრიალებით დასრულდა.

მოცემულ პერიოდში არაერთი რეფორმა განხორციელდა. კერძოდ, 1963 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ინვესტიციებზე დაწესდა საგადასახადო შეღავათები, რაც ე.წ. „ინვესტიციების გამოქვითვის“ კონცეფციის ქვეშ განხორციელდა. 1968 წელს ჩამოყალიბდა „რეგიონების პრიორიტეტული განვითარების“ კონცეფცია, სადაც გამოიყო 22 პრიორიტეტული რეგიონი. ამავე წელს შეიქმნა „მასტიმულირებელი სერტიფიკატი“, რომელიც განსაზღვრავდა წახალისების უფლებას.

აღნიშნულ პერიოდში განვითარებას იწყებს თურქეთის ავტომობილების ინდუსტრია, რომელმაც შემდეგ მნიშვნელოვანი ლოკომოტივის ფუნქცია შეასრულა და არაერთი სხვა დარგის განვითარების წინაპირობაც გახდა. თურქეთის ავტომობილების ინდუსტრიის წარმატება მრავალმა ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა ფაქტორმა განაპირობა. პირველ რიგში, 1960-1980-იან წლებში განხორციელებულმა იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკამ, ამ დარგებს განვითარებისთვის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი მისცა, რადროსაც ისინი დაცულნი იყვნენ უცხოელი კონკურენტებისგან. ეს დაცულობა გარკვეულწილად მას შემდეგაც გრძელდებოდა, რაც თურქეთმა სავაჭრო ლიბერალიზაციის პოლიტიკა გამოაცხადა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არსებული პოლიტიკიდან მოგებულები დარჩნენ არა მხოლოდ ავტომობილების ძირითადი მწარმოებლები, ასევე სათადარიგო ნაწილებისა თუ აქსესუარების მწარმოებლები და დისტრიბუტორებიც კი. დაცულობის ხანგრძლივმა პერიოდმა ყველა ამ ჯგუფს საშუალება მისცა დაეგროვებინათ როგორც მაღალი შემოსავლები, ასევე სათანადო ცოდნა და გამოცდილება აღნიშნულ სექტორში. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, დაგროვებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

თურქეთის მთავრობა, ერთი მხრივ, სტიმულს აძლევდა კერძო სექტორს მანქანების, ტრაქტორების და ავტობუსების საწარმოებლად, თუმცა, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას, რათა ადგილობრივი წარმოება დიდად არ ყოფილიყო დამოკიდებული იმპორტირებულ ნაწილებზე, რასაც შეეძლო მიმდინარე ბალანსის დეფიციტის პრობლემის მოგვარება შეეფერხებინა.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად 1964 წელს მთავრობამ გამოსცა „ამწყობი ინდუსტრიის ბრძანება“. ბრძანების მთავარი მიზანი იყო, რომ გაეზარდა ადგილობრივი შუალედური მოხმარების ნაწილების გამოყენება საბოლოო პროდუქციის აწყობის პროცესში, თუმცა ის არ ითვალისწინებდა მთლიანი პროდუქტის აწყობას მხოლოდ ქვეყნის შიგნით წარმოებული ნაწილებით. გამოყენებული უნდა ყოფილიყო, როგორც შიდა, ასევე იმპორტირებული ნაწილები. ამისთვის განისაზღვრა ნაწილების დეტალური სია,

რომლის წარმოებაც უნდა მომხდარიყო ქვეყნის შიგნით და, ასევე, იმპორტი.

1968-1972 წლების ხუთწლიანი განვითარების გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას მრეწველობის სექტორს უთმობდა. ასევე, ახლად დაფუძნებული ინდუსტრიები დაცული უნდა ყოფილიყო უცხოური კონკურენტებისგან, მანამ სანამ ისინი არ მიაღწევდნენ კონკურენტუნარიანობის მინიმალურ დონეს, როცა დამოუკიდებლად შეძლებდნენ უცხოურ კონკურენციასთან გამკლავებას.

მრეწველები, როგორც ინტერესთა ჯგუფი, 1970-იანი წლებიდან დიდ ზეგავლენას ახდენდა თურქეთში სავაჭრო და სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების პროცესზე. მას შემდეგაც კი, რაც ქვეყანამ 1980 წელს გადაწყვიტა გადასულიყო იმპორტის ჩამნაცვლებელი სტრატეგიიდან ექსპორტზე ორიენტირებულ ზრდის სტრატეგიაზე, იმპორტის კონკურენტმა ძირითადად სექტორებმა შეძლეს შეენელებიათ ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესი, პოლიტიკური აქტივობის გზით.

1980 წლიდან იწყება ახალი ეპოქა თურქეთის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ისტორიაში. 1980 წლის 24 იანვარს მთავრობამ გამოაცხადა ახალი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. თურქეთი გადავიდა იმპორტჩამნაცვლებელი სტრატეგიიდან ექსპორტზე ორიენტირებულ ზრდის სტრატეგიაზე. ახალი პროგრამის მიზანი იყო ქვეყანაში მომხდარიყო თავისუფალი ბაზრის პირობების დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პაკეტი მოიცავდა მთელ რიგ პოლიტიკურ ღონისძიებებს, შექმნილ პოლიტიკურ გარემოში მათი წარმატებული იმპლემენტაცია თითქმის შეუძლებელი იყო.

1980 წლის 12 სექტემბერს, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მოტივით თურქეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და სამხედრო უმაღლესმა გენერალიტეტმა ძალაუფლება ჩამოართვა დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობას. სამხედრო გადატრიალებამ დრამატულად შეცვალა სიტუაცია. სამხედროებმა მხარი დაუჭირეს 24 იანვრის სტაბილიზაციის პროგრამას და მისი ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი თურგუთ ოზალი ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს. ახალი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ერთმანეთთან დაკავშირებულ 4 ამოცანას: საბაზრო სიგნალების მნიშვნელობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის წილის გაზრდას; მრეწველობაში კერძო სექტორის წილის გაზრდას და სახელმწიფო საწარმოების რეფორმირებას არაეფექტიანობის შესამცირებლად.

მიუხედავად ამისა, ლიბერალიზაციის ფონზე ქვეყანაში არ შეინიშნებოდა სტაბილიზაცია. ქვეყანა განიცდიდა ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს, გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი. ბიუჯეტის დეფიციტი ძირითადად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ხარჯზე ფინანსდებოდა, რომლებსაც ძირითადად საბანკო სისტემა ყიდულობდა. აღნიშნული კრიზისის კულმინაცია იყო

1999-2000 წლები, როდესაც საბანკო სისტემის თითქმის ნახევარი განადგურდა [9].

ამ პერიოდში ინვესტიციების ხელშეწყობა წახალისების გზით პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა. წახალისების ღონისძიებები გამოიყენებოდა „კოზიტიური სიის“ სექტორებისთვის, რომელთა ხელშეწყობაც პრიორიტეტული იყო. მოგვიანებით გამოჩნდა ე.წ. „ნეგატიური სია“, რომელიც აერთიანებდა ინდუსტრიებს, რომლებიც არ უნდა ყოფილიყო მხარდაჭერილი, თუმცა 1995 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ინვესტიციების სტიმულირების სისტემაში. 1995 წელს თურქეთი გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, რის გამოც თურქეთმა გადახედა თავის ინვესტიციების სტიმულირების სისტემას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით. შედეგად, ამ პერიოდიდან სექტორული მხარდაჭერის ინდუსტრიული პოლიტიკა შეიცვალა რეგიონალური მხარდაჭერის პოლიტიკით და მიიღო უფრო „ჰორიზონტალური სახე“, რაც გამოიხატებოდა ისეთ მექანიზმებში, როგორებიცაა კვლევების, გარემოს დაცვით ღონისძიებების მხარდაჭერა, მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირების მექანიზმები და სხვა. ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებები შეიცვალა სხვადასხვა გამოფენებზე მონაწილეობის სტიმულირებით, პროდუქციის სერტიფიცირებისა და ბრენდინგის განვითარების მხარდაჭერით.

ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის სტრატეგია ორ ძირითად მიმართულებას ემყარებოდა: პირველი და უფრო აქტუალური საკითხი იყო სუბსიდიების გაცემა შიდა მწარმოებლებისათვის, რათა მათ მოეხდინათ საკუთარი პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გაყიდვა. მეორე მიმართულება კი შეეხო იმპორტის ეტაპობრივ ლიბერალიზაციას, რაც რაოდენობრივი და სატარიფო ბარიერების შემსუბუქებას მოიცავდა. იმპორტის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე შიდა მწარმოებლები უფრო მეტ კონკურენციას წააწყდნენ უცხოელი კონკურენტების მხრიდან, რაც მათ აიძულებდათ, გაეუმჯობესებინათ საკუთარი პროდუქციის ხარისხი.


აღნიშნული პოლიტიკის საწყის ეტაპზე (1980-1983 წწ) ექსპორტის წახალისებისთვის სხვადასხვა პირდაპირი და არაპირდაპირი ღონისძიებები გამოიყენებოდა. მაგალითად, ექსპორტის გადასახადზე შეღავათების დაწესება, შეღავათიანი საექსპორტო კრედიტების გაცემა, უცხოური ვალუტის გამოყოფა და იმპორტზე გადასახადების გარეშე წვდომა. საიმპორტო ბარიერების შემცირება განსაკუთრებულად სწრაფი ტემპებით 1984 წლის შემდეგ დაიწყო. მნიშვნელოვანად შემცირდა საიმპორტო ტარიფები. გატარებულმა რეფორმებმა თურქეთის ეკონომიკა და ადგილობრივი მწარმოებლები მოამზადა სავაჭრო ლიბერალიზაციისა და მსოფლიო ბაზართან ინტეგრაციის ახალი ეტაპისთვის, რომელიც თურქეთსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული საბაჟო კავშირის შეთანხმებით დაიწყო.

თურქეთსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული საბაჟო კავშირის შეთანხმება და-

ლაში 1996 წლიდან შევიდა. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ვაჭრობის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია და თურქეთის ეკონომიკის ინტეგრაცია ევროკავშირის ბაზართან. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი და მრეწველობის წილი მშპ-ში. (იხ. გრაფიკი 1 და 2). ლიბერალურმა სავაჭრო პოლიტიკამ და ქვეყნის შიგნით არსებულმა წარმოების წამახალისებელმა პროგრამებმა თურქეთი მიმზიდველი გახადა უცხოელი ინვესტორებისთვის, რასაც 2000-იანი წლებიდან მოყოლებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი მატება მოჰყვა. (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 1.


თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტი და ექსპორტის წილის მთლიან შიდა პროდუქტში 1987 – 2020 წწ. (მლრდ აშშ დოლარი, %)



გრაფიკი აგებულია ავტორების მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

გრაფიკი 2.


მრეწველობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2000-2020 წწ (%)



გრაფიკი აგებულია ავტორების მიერ გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით.

გრაფიკი 3.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება თურქეთში 1970 – 2020 წწ (მილიონი აშშ დოლარი)



გრაფიკი აგებულია ავტორების მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.


თურქეთსა და ევროკავშირს შორის საბაჟო კავშირის შეთანხმებას ხელი 1995 წლის მარტში მოეწერა, თუმცა მისი ისტორია სათავეს 1963 წლის სექტემბრიდან იღებს, როდესაც ევროკავშირი-თურქეთის ასოციაციის საბჭო ჩამოყალიბდა. ქალაქ ანკარაში ასოცია-

ციას შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი, რომელიც „ანკარის შეთანხმების“ სახელითაა ცნობილი. საბაჟო კავშირის შეთანხმება გულისხმობდა თურქეთის მხრიდან მნიშვნელოვანი სავაჭრო ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, თურქეთს ევროკავშირიდან შემოტანილ საქონელზე ტარიფებიმთლიანად უნდა მოეხსნა, ასევე, უნდა დაეწესებინა ევროკავშირის მსგავსი საგარეო ტარიფები სხვა მესამე ქვეყნებთან მიმართებაში. ევროკავშირი, თავის მხრივ, დათანხმდა თურქული ექსპორტიორებისთვის ტექსტილის და ტანსაცმლის პროდუქციაზე არსებული კვოტების მოხსნაზე.

თურქეთსა და ევროკავშირის შორის გაფორმებულ საბაჟო შეთანხმება დადებითად აისახა თურქეთის ექსპორტზე. გაიზარდა როგორც ექსპორტის მოცულობა, ასევე ექსპორტის წილის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. (იხ. გრაფიკი 1 და 4.). აღსანიშნავია ისიც, რომ შეთანხმების მიუხედავად ევროკავშირი უფლებას იტოვებდა თურქულ პროდუქტზე დაეწესებინა ანტიდემპინგური გადასახადები და დაეტოვებინა ტექნიკური (მარეგულირებელი) ბარიერები. ამას დაემატა თურქული ლირას გამყარებაც, შედეგად ამ ყველაფერმა ექსპორტის ზრდა შედარებით შეანელა.

გრაფიკი 4.

თურქეთის საგარეო სავაჭრო ბალანსი. 1987 – 2020 წწ (მილიარდი აშშ დოლარი, მუდმივ 2015 წლის ფასებში)



გრაფიკი აგებულია ავტორების მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

საბაჟო შეთანხმების დადებითი შედეგები მკაფიოდ აისახა თურქეთის ექსპორტზე 2001 წლის კრიზისის შემდეგ. თურქული ლირას გაუფასურებამ და შიდა მოთხოვნის შემცირებამ ადგილობრივი მწარმოებლები აიძულა ახალი საექსპორტო ბაზრები მოეძი-


ებინათ. მიუხედავად იმისა რომ მომდევნო წლებში იმპორტმა ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებელი აჩვენა და ექსპორტს გადააჭარბა, სტაბილურად იზრდებოდა ექსპორტიც, შიდა ბაზარზე მოთხოვნის გაზრდის მიუხედავად (იხ. გრაფიკი 4).

საბაჟო კავშირის შეთანხმება თურქეთსა და ევროკავშირს შორის ერთგვარი კრიტიკული მომენტი იყო ქვეყნის განვითარებაში. შეთანხმებამ დაავალდებულა თურქეთის მთავრობა ვაჭრობის ლიბერალიზაცია განეხორციელებინა და ამით შეზღუდა შიდა ინტერესთა ჯგუფების შესაძლებლობა ზეგავლენა მოეხდინათ სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებაზე.

2000 წლიდან მოყოლებული თურქეთის წინაშე ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იდგა: მიმდინარე ბალანსის დიდი დეფიციტი და მაღალი უმუშევრობის დონე. უმუშევრობის დონე თითქმის ყოველთვის იყო 10%-ზე მაღალი (იხ. გრაფიკი 5). მთავრობამ ჩათვალა, რომ უმუშევრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა შეიძლება ყოფილიყო.

გრაფიკი 5.

უმუშევრობის დონე თურქეთში 1991 – 2020 წწ (%)



გრაფიკი აგებულია ავტორების მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

თურქეთის მთავრობაში მიიჩნევენ, რომ მიმდინარე უარყოფით ბალანსის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ინდუსტრიული საქონელის იმპორტირებულ ნედლეულზე მაღალი დამოკიდებულება იყო.

2001 წელს კოალიციური მთავრობის მიერ გაშვებულ იქნა ე.წ. „აღდგენის პროგრამა“. მოცემული პროგრამაში შემავალი რეფორმები მიღებული და გაგრძელებული იქნა

2002 წელს ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობის მიერ.

2002 წლის შემდგომი მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ლიბერალიზაციის პირველი ორი ათწლეულისგან. 2002-2010 წლებში თურქეთის მშპ საშუალოდ 5.1%-ით იზრდებოდა ყოველწლიურად. გაიზარდა ექსპორტის წილი მშპ-ში. სახელმწიფო ვალი მშპ-სთან მიმართებაში 2001 წელს 66% დან საშუალოდ 30%-ით შემცირდა 2008-2010 წწ-ში. 2010 წლისთვის 6-7 %-მდე შემცირდა მშპ დეფლატორი, რომელიც 2002 წლისთვის 53% იყო. საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც 2001-2002 წწ-ში 15% ს აჭარბებდა, 2009 წლისთვის 5% ზე ქვემოთ ჩამოვიდა. [9. გვ.3].

2004 წელს მიიღეს მნიშვნელოვანი N508415 კანონი, რომელსაც ჰქონდა მკვეთრად გამოხატული რეგიონალური მიმართულება. მისი მიზანი იყო, ხელი შეეწყო ინვესტიციების მოზიდვისა და დასაქმებისთვის კონკრეტულად განსაზღვრულ სამიზნე პროვინციებში. აღნიშნული კანონი ფარავდა 36 პროვინციას და ახლად შექმნილ კომპანიებს სთავაზობდა საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას 80 და 100 %-მდე. კანონი ასევე მოიცავდა კომპანიის ელექტროენერჯის გადასახადის 20%-ით სუბსიდირებას; კომპანიებისთვის სახელმწიფო მიწების უფასოდ გადაცემას, თუ ეს კომპანიები დაასაქმებდნენ არანაკლებ 10 თანამშრომელს არანაკლებ 5 წლის ვადით.


მხარდაჭერის ზემოთ განხილული სქემა შეიცვალა 2005 წელს ახალი კანონის მიღებით. ახალმა კანონით სამიზნე პროვინციების რაოდენობა 49 გახდა. ასევე, გაიზარდა სუბსიდირების მოცულობა და კომპანიებისადმი წაყენებული მოთხოვნები. ცვლილებების მიხედვით, ახალ კომპანიას მოეთხოვებოდა 30-ზე მეტი თანამშრომელი, ხოლო ძველ კომპანიებს დასაქმებულთა გაზრდა 20%-ით. კანონი, ასევე, იმ კომპანიის თანამშრომლების საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებას ითვალისწინებდა, რომლებსაც დასაქმებული მინიმუმ 10 თანამშრომელი ჰყავდა.

ევროკავშირთან გაფორმებულმა საბაჟო შეთანხმებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა თურქეთის ექსპორტის გაუმჯობესებაზე, კერძოდ, უცხოური ინვესტიციების შემოდინების საფუძველზე შიდა ბაზარზე მოქმედი მრეწველობა გარდაიქმნა ექსპორტზე ორიენტირებულ კონკურენტუნარიან ინდუსტრიად.

ევროკავშირთან გაფორმებულმა საბაჟო შეთანხმებამ თურქეთი მეტად ღია გახდა საერთაშორისო კონკურენციისთვის. თურქეთის ეკონომიკამ აჩვენა მზაობა გამკლავებოდა უცხოელი კონკურენტების მხრიდან არსებულ გამოწვევებს. ეს შედეგი განსაკუთრებით თვალნათელი გახდა 2001 წლიდან. აღნიშნული პერიოდიდან მკვეთრად გაიზარდა თურქეთის ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსიც და ზრდა სტაბილურად გრძელდებოდა 2008 წლამდე. (იხ. გრაფიკი 6).

გრაფიკი 6.

თურქეთის ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 1996 – 2019 წწ



გრაფიკი აგებულია ავტორების მიერ გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით.

ამრიგად, საბაჟო კავშირის შეთანხმების გაფორმების შემდეგ თურქეთის ინდუსტრიულმა სექტორმა მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა და ეს მას დაეხმარა, რომ მომზადებულიყო ისეთი დიდი და ძლიერ კონკურენტებთან გასამკლავებლად, როგორცაა ჩინეთი და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები.

2002 წლიდან თურქეთს ზედამხედველობას უწევდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებმა. მათი მხარდაჭერით თურქეთმა ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები, განავითარა საფინანსო-საბანკო სექტორი, რამაც უზრუნველყო თურქეთის ეკონომიკის სტაბილური განვითარება.

გარდა ამისა, სამოქალაქო თავისუფლებებისადმი ლიბერალურ-პლურალისტული მიდგომის დამკვიდრებამ და სამოქალაქო საზოგადოების მიერ საჯარო სფეროს აქტიური გამოყენების შესაძლებლობამ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი გააუმჯობესა და პოლიტიკური რისკები შეამცირა.

ამრიგად, პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სტაბილურობამ, მოკლევადიანი კაპიტალის შემოდინების ზრდამ, უფრო ჯანსაღმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა და გლობალურმა მოთხოვნამ ხელი შეუწყო თურქეთის ექსპორტის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, თურქეთის სახელმწიფომ აქტიური როლი ითამაშა თურქეთსა და არაბულ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაში.

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი უარყოფითად აისახა თურქეთის ეკონომიკაზეც. 2009 წელს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი და ექსპორტი შემცირდა (იხ. გრაფიკი 1), უმუშევრობის დონე გაიზარდა (იხ. გრაფიკი 5) და გაუარესდა ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობის ინდექსიც (იხ. გრაფიკი 6).

არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად 2009 წელს მიღებულ იქნა სტიმულირების ახალი სისტემა, რომლის მიზანიც იყო დანაზოგების ინვესტირება იმ დარგებში, რომლებსაც შეეძლოთ მაღალი დამატებითი ღირებულების შექმნა. ეს, თავის მხრივ, გაზრდიდა წარმოების მოცულობას, დასაქმების დონეს და ხელს შეუწყობდა ინვესტიციების მოზიდვას მაღალტექნოლოგიურ დარგებში. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერ ღონისძიებებსაც. ამრიგად, 2009 წლიდან მხარდაჭერამ რეგიონული პოლიტიკიდან სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულებისკენ გადაინაცვლა.

პროგრამის ფარგლებში თურქეთის რეგიონები მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით 4 განსხვავებულ ჯგუფად დაიყო. თითოეული ჯგუფისთვის მხარდაჭერის განსხვავებული ინსტრუმენტები და განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები მოქმედებდა. მაგალითად, უფრო მეტად განვითარებულ პირველ და მეორე ჯგუფებში აქცენტი კეთდებოდა მაღალტექნოლოგიური დარგების მხარდაჭერაზე, მაშინ როდესაც სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაკლებად განვითარებულ მესამე და მეოთხე ჯგუფისთვის, პრიორიტეტი სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, ტურიზმი, ჯანდაცვის და განათლების სისტემები იყო. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ე.წ. „მსხვილი ინვესტიციების“ კატეგორია, რაც გულისხმობდა იმას, რომ განსაზღვრულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციები თუ გადააჭარბებდა დადგენილ ზღვარს, ხვდებოდა წახალისების პროგრამაში.

მხარდაჭერის აღნიშნული სისტემა მოგვიანებით 2012 წელს შეიცვალა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ახალ სისტემაში „სტრატეგიული ინვესტიციების“ წახალისების დანერგვა იყო. განისაზღვრა იმპორტზე დამოკიდებული დარგები (სადაც იმპორტი შეადგენდა ადგილობრივი მოთხოვნის 50% ზე მეტს) და ინვესტიციებისთვის პრიორიტეტული სფეროები, როგორცაა სამთო მრეწველობა, განათლება და რკინიგზა. შემცირდა მინიმალური მოთხოვნები „მსხვილი ინვესტიციების“ კატეგორიისთვის. 2012 წელს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით თურქეთი 4 ის ნაცვლად დაიყო 6 რეგიონად. ხოლო მე-6, ანუ ყველაზე ნაკლებად განვითარებული რეგიონისთვის, ყველა სახის ინვესტიციის მხარდაჭერა და სტიმულირება სავალდებულო გახდა (იხ. გრაფიკი 3).

2010 წელს თურქეთმა მიიღო „თურქეთის ინდუსტრიული სტრატეგიის დოკუმენტი 2011-2014“ [14], რომლის მიზანიც იყო თურქეთი გამხდარიყო ევრაზიის საწარმოო

ბაზა საშუალო და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებაში. დოკუმენტის მიხედვით, ინდუსტრიალიზაციის საერთო მიზანი იყო: „თურქული მრეწველობის კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის გაზრდა. ინდუსტრიული სექტორის ტრანსფორმაციის დაჩქარება, რომელსაც მეტი წილი აქვს მსოფლიო ექსპორტში, სადაც ძირითადად იწარმოება მაღალი დამატებული ღირებულების მაღალტექნოლოგიური პროდუქცია, რომელსაც სჭირდება კვალიფიციური მუშახელი და რომელიც ამავდროულად მგრძნობიარეა გარემოსა და საზოგადოების მიმართ“ [14].

იმპორტზე დამოკიდებულების პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობამ ასევე შეიმუშავა რესურსების შესყიდვის სტრატეგია, რომლის მიზანიც იყო სტაბილურობის, ეფექტიანობის და მწარმოებლურობის მიღწევა რესურსების შექმნისას, რითაც იმპორტზე დამოკიდებულება უნდა შემცირებულიყო, ხოლო ექსპორტის კონკურენტუნარიანობა გაზრდილიყო.

ზემოთ განხილული მიზნების მისაღწევად თურქეთმა გამოკვეთა 3 ძირითადი სტრატეგიული მიმართულება: 1. იმ კომპანიების ხელშეწყობა, რომლებსაც ჰყავთ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა, გამუდმებით ავითარებენ მათ უნარ-ჩვევებს და შეუძლიათ უწყვეტი განვითარება გაზრდილი კონკურენციის პირობებში; 2. საშუალო და მაღალტექნოლოგიური სექტორის მხარდაჭერა მათი მწარმოებლურობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით; 3. დაბალტექნოლოგიურ დარგებში მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.

ამრიგად, ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართულების მნიშვნელოვანი ასპექტი 2010 წლის შემდეგ მაღალტექნოლოგიური დარგების მხარდაჭერა და ინოვაციების ხელშეწყობაა. ქვეყანა ასევე არსებით ყურადღებას ამახვილებს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებასა და ქვეყანაში მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქციის წარმოებაზე.

აღნიშნულმა მიმართულებებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა თურქეთის 2015-2018 წლების მეწარმეობის სტრატეგიისა და მოქმედების გეგმის და ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის დოკუმენტებში [15;17;18].

დასკვნები. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ეტაპზე თურქეთი დასახული მიზნების მისაღწევად ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების სხვადასხვა ნაკრებს იყენებდა, საერთო მიზანი ადგილობრივი წარმოების განვითარება, ქვეყანაში მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტის შექმნა, იმპორტირებულ ნედლეულზე დამოკიდებულების მაქსიმალურად შემცირება იყო. აღნიშნულ მიმართულებებთან ერთად 2008 წლის შემდეგ ასევე გამოიკვეთა ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური მიმართულების პროდუქციის წარმოებისკენ მისწრაფება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა ცდილობს არ ჩამორჩეს მსოფლიო ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებს და საკუთარი ინდუსტრიალი-

ოზაციის პოლიტიკაც ამ მიმართულებით თანხვედრაში მოჰყავს.

ცალკე აღსანიშნავია თურქეთის რეგიონალური დანაწილების პოლიტიკაც. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა თითოეულ პროვინციას ინდივიდუალურად უდგება ამ უკანასკნელის შესაძლებლობებიდან გამომდინარე და არ ახორციელებს ერთიან პოლიტიკას მთელი ქვეყნისთვის, რაც ნაკლებ ეფექტიანი შეიძლება იყოს.

ზემოთ განხილულმა რეფორმებმა და ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ ცალსახად აპოვა შედეგი თურქეთის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის მაღალ ტემპებში.

References

1. გეჩბაია, ბ., მუძკუდიანი, ზ., მამულაძე, გ. (2022). *ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გლობალური დეტერმინანტები*. მონოგრაფია. გამომცემლობა „კალმოსანი“. თბილისი., Gechbaia, B., Mudzkudiani, Z., Mamuladze, G. (2022). *The Global Determinants of National Economic Competitiveness*. Monograph. “Kalmosani”. Tbilisi.
2. The World Bank, *Exports of goods and services (constant 2015 US\$)*. <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/NE.EXP.GNFS.KD?downloadformat=excel>. (გაცნობის თარიღი: 04.04.2022);
3. The World Bank, *Imports of goods and services (constant 2015 US\$)* - <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/NE.IMP.GNFS.KD?downloadformat=excel>. (გაცნობის თარიღი: 04.04.2022);
4. The World Bank, *Unemployment, total (% of total labor force) (modeled ILO estimate)*. <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/SL.UEM.TOTL.ZS?downloadformat=excel>. (გაცნობის თარიღი: 04.04.2022);
5. United Nations Industrial Development Organization, *Manufacturing value added as a proportion of GDP (%)*. <https://stat.unido.org/SDG/TUR>. (გაცნობის თარიღი: 05.04.2022);
6. United Nations Industrial Development Organization, *Competitive Industrial Performance Index (CIP)* - <https://stat.unido.org/cip/>. (გაცნობის თარიღი: 05.04.2022);
7. The World Bank, *GDP (constant 2015 US\$)*. <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/NY.GDP.MKTP.KD?downloadformat=excel>.
8. The World Bank, *Foreign direct investment, net inflows (BoP, current US\$)* - <https://api.worldbank.org/v2/en/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD?downloadformat=excel> (გაცნობის თარიღი: 05.04.2022);
9. Atiyas, İ., Bakis, O. (2015). *Structural Change and Industrial Policy in Turkey*. [Emerging Markets Finance and Trade](#) 51(6):1209-1229. [10.1080/1540496X.2015.1080523](https://doi.org/10.1080/1540496X.2015.1080523);
10. Taymaz, E., Yilmaz, K. (2017). *Political economy of industrial policy in Turkey: The*

- case of the automotive industry. [SSRN Electronic Journal](https://ssrn.com/abstract=3043230). 10.2139/ssrn.3043230;
11. Güvercin, D. (2020). [Boundaries on Turkish export-oriented industrialization,](https://doi.org/10.1007/978-98-1-10-1111-1_1) *Journal of Economic Structures*, Springer;Pan-Pacific Association of Input-Output Studies (PAPAIOS), vol. 9(1). 1-15;
 12. Ozaslan, M. (2006). *Spatial Development Tendencies and Emergence of New Industrial Districts in Turkey in the Post-1980 Era.* https://www.econstor.eu/bitstream/10419/118523/1/ERSA2006_834.pdf;
 13. Apak, S., Atay, E. (2013). *Industrial Policy and Climate Change Management of Turkey as an EU candidate country.* <https://cyberleninka.org/article/n/507992>;
 14. Republic of Turkey.Ministry of industry and trade. Turkish industrial strategy document 2011-2014. (2010). https://www.ab.gov.tr/files/haberler/2011/turkish_industrial_strategy.pdf. (გაცემობის თარიღი: 29.04.2022);
 15. Turkish Entrepreneurship Strategy & Action Plan 2015-2018 - https://webdosya.kosgeb.gov.tr/Content/Upload/Dosya/Mali%20Tablolar/Gisep_2015-2018_EN.pdf . (გაცემობის თარიღი: 29.04.2022)
 16. EUROPE 2020. A strategy for smart, sustainable and inclusive growth /* COM/2010/2020 final / Brussels, 3.3.2010;
 17. European Commission (2010, 2011, 2012) OECD (2012);
 18. *General Principles of EU Industrial Policy. Article 173 of the Treaty on the Functioning of the European Union. Fact Sheets in the European Union.* (2021). www.europarl.europa.eu/factsheets/en;
 19. Lekashvili, E. (2019). *Current issues of new economic policy.* International Scientific and Practical Internet Conference Business Strategy: Futurological Challenges, November 20-22, 2019, Kyiv, pp.19-24. KHEY, 495. ISBN 978–966–926–310–0; УДК 005.21:001.18]:004.773.7. <https://www.bsfucon.org/>

Citation:

Lekashvili, E., Kraveishvili, G., (2022). Turkiye 's Industrial Policy In The Context of Eu Integration: A Successful Experience For Georgia. *Innovative Economics and Management: International Scientific Journal*, 9(3), 38-55